ფასი ყველგან 10 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მათრახი

სასუმარო გაზეთი

№ 6

კვირა, 26 ოქტომბერი, 1908 წ.




ჩვენი მზის სისტემა.

# ჩვენი „მზის“ ოჯახობა.

«მზეო ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა
ქართველს მოუკლავს ქართველი
საწყალი აგერ გორავსა»
აკაკი.

ჩვენ სიტყვა კაზმულ მწერლობას
თავი ასტკივდა მწარეთა,
არც ვინ ახალი გამოჩნდა,
ძველებიც სწერენ მდარეთა.
მსჯელობენ, ვერ-ვინ გაიგო
მიზეზი ავათ-მყოფისა,
იმდენს სწერავენ „სტატიებს“,
მელანი აღარ ყოფნისა.
ზოგი იძახის: პოეტებს
შიმშილით ეწვით კუჭიო,
და მუზის გათამაშება
დროს დაკარგვაა, ფუჭიო.
მეორე ამბობს: არც აგი
აზრია სრულად სწორიო,
მწერლობის დაქვეითებას
ხელს უწყობს რედაქტორიო.
დასწერ, მიუტან, ოცნებობ
მოგივა გონორარიო...
მიხვალ და ნახავ სტატია
უკვე გოდორში არიო.
გამოედავა მესამე:
როგორ ვერ მიხვდით თქვენაო,
რომ დასავლეთის მწერლობამ
დაგვიძაბუნა ენაო.
მეოთხე შეეკამათა:
—რა უშნო აზრებს ჰქედავთო
საქმე კრიტიკამ დაღუპა
და ამას ვეღარ ხედავთო?..
ეერ მიგიხვდება კრიტიკა
თავში რა აზრი გიქრისო
და რაც შეხვდება ღრმა „აზრი“
სულ წყალში გადაგიყრისო.
დიდ ხანს იმსჯელეს ამ რიგათ
„სიტყვა-კაზმულის“ გვამთანა
და აირჩიეს სავალათ
გზა უხიფათო, შვათანა...
გავიდა დროთა მანძილი,
საქმე არ სჩანდა არარა...
აქ, ორშაბათის მნათობმა
გაჰკვეთა ცისა კამარა.
„მზე“, ამოგორდა ქართული
პირ-მუქი, სითბო ნაკლები
„სიტყვა კაზმული“ მწერლები
თავს ყავდა შემონავლებმი.
გაიოაჰყიტა ორ გზობის
მბჟუტავი ჰრაქის თვალები
და უკუნეთმა ჩაყლაპა
ცხოვრებით განაწვალები.
ე.

# გ ა ნ თ ი ა დ ს.

ოხ, განთიადო, განთიადო შუქ მოელვარე!
მახსოვს, როცა შენ ცის კიდურზე სხივებ გაშლილი
ამოკაშკაშდი და სამყარო აელვარე,
განგმირე ბნელი გულის მკვლელი სქელად გაშლილი.
მახსოვს, ბუჩქებში ბულბულმა მეის დაიგრიხიალა,
სიცოცხლისაგან აუტოკდა სიამით გული,
ჩანგსა ჩამოკრა, სიმნი ტკბილად აწკრიალდა,
„ქებათა ქებ“ მოგიძღვნა შენ აღტაცებული.
მეც ფრთა შევისხი, გავაკეთე ცაში კამარა,
მინდოდა უეღზე მოგხვეოდი, ჩამეკრ გულში
და შენთან ერთათ, შენს სხივებ ქვეშ მეც მენეტარა,
მომკვდარიყავი შენს ალერსში, შენს სიყვარულში.
მინდოდა... მაგრამ დრუბელი მსწრაფლ გადაგეფარა!
შევკრთი სიმწარით, ძირს დავეშვი ფრთებ შეკვეცილი,
აკვნესდა სული, თვალებს მოწუდა ცრემლი ანკარა
და დაასველა არე-მარე მწვანით მოსილი.
მაგრამ იმედი მაინც კიდევ მიღვივის გულში,
მრწამს, კვლავ ვიხილავ შენს ვარდისფერ სახეს გაბადრულს,
და აღტაცებით მოგეხვევი... შენს სიყვარულში
სიამოვნებით განუტევებ უდროთ ტანჯულ სულს!
ვ. ჩახრუხაძე.

# ადესის გმირი და მისი მსხვერპლნი.

(ადესიდან მოწერილი)

ძმაო ეშმაკო!

მაქვს პატივი გაგაცნო გარყვნილთა შორის უპატივცემულესი კონსული სპარსეთისა ზაიჩენკო თავისი ამალითურთ. იმედია ნაცნობობით არც შენა და არც სხვა მკითხველი უმადური არ დამრჩებით. მაშ შორიდან დავიწყოთ.

რეაქციამ, ძმაო, სხვა ვის დააყარა ხეირი, რომ სკოლებისთვის დაეყარა? რაკი აღადგინეს სკოლის ძველი რეჟიმი და დაუწყეს საარაკო დევნა ყოველგვარ პროგრესიულ მიდრეკილებას, თვალსაჩინოთ შემცირდა ხალისი თვითმოქმედება-განვითარებისადმი და სამაგიეროთ მოსწავლეთა შორის თავი იჩინა არა სასიამოვნო მიმართულებამ; სახელდობრ: გაირყვნა ზნეობრივათ მოსწავლეთა დიდი ნაწილი, დაარსდა მათ შორის მძარცველ შანტაჟისტთა ჯგუფები, ეპიდემიური ხასიათი მიიღო აგრეთვე თავის მოკვლამაც, მაგრამ ყველაზე მეტ სისაზიზღრეს წარმოადგენს ძმაო მოწაფეთა „საიდუმლო საზოგადოე-

ბანი“. როგორც მოგეხსენება ქ. ორლოვში არსებობდა საზ. „ოგაროკი“, კიევში „თავისუფალი სიყვარულის ლიგა“ და სხვ. თუ რა სისაძაგლე ხდებოდა ამ საზოგადოებებში ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, რადგან მათი არსებობის მთავარი მიზანი „თავისუფალი გარყვნილება“ იყო, მაგრამ მოგახსენებ მხოლოდ იმას, რომ შეიქმნა ერთგვარი მდგომარეობა, რომლითაც სარგებლობდენ სხვადასხვა ადამიან-პირუტყვები მცირე წლოვანთა შესაცდენ-გასარყვნელათ.

ერთ ამგვართაგანს წარმოადგენს ზემოხსენებული კონსული სპარსეთისა ზაიჩენკო. ეს მოკლე წინასიტყვაობა საკმარისია ზაიჩენკოს პიროვნების გასათვალისწინებლათ და ახლა მომისმინე შემდეგი.

ადესაში კარგად ცნობილმა ექიმმა ცენოვსკიმ მოათავსა ერთ გაზეთში წერილი შემდეგი სათაურით **„ვისი ბრალია?“** ექიმი შეეხო დღევანდელი საშუალო სკოლის მდგომარეობას და აღნუსხა ეგ რეჟიმი რამდენ ახალგაზდას ღუპავს. თავის აზრის დასამტკიცებლათ მან, სხვათა შორის, მოიყვანა ადესის ცხოვრებიდან მაგალითი, თუ ერთმა ვაჟბატონმა, როგორ გააბრიყვა ახალგაზრდა მოსწავლე ქალები. არც გვარი, არც სახელი ამ ვაჟბატონის არ არის ნახსენები წერილში. ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ გავიდა თვე-ნახევარი. არსაიდან არაფერი ისმოდა, ხოლო მარტის უკანასკნელ რიცხვებში ცენოვსკისთან მისულა სამი კაცი სპარსეთის კონსულის ზაიჩენკოსაგან, და განუცხადებიათ, წერილი „ვისი ბრალია?“ ზაიჩენკოს შეეხება და ის თქვენგან თხოულობს: 1) ან ბოდიში მოიხადე; 2) ან და დუელში გამყევიო. ცენოვსკის ორივეზე ვარი განუცხადებია და უპასუხნია: ეგ საქმე ჩემი და ზაიჩენკოს საქმე კი არ არის, ეგ საზოგადოების საქმეა და თუ ვინმეს სურს მისგან პასუხის მიღება გაზეთს მიმართონ. სამი დღის შემდეგ გამოქვეყნდა ცენოვსკის მეორე წერილი სადაც ის ასახელებდა ზაიჩენკოს იმ სისაძაგლის ჩამდენათ. იმ საღამოსვე თეატრში ზაიჩენკო მიეპარა უკანიდან ცენოვსკის და სილა გააწნა.

ძნელი ასაწერია ის აურზაური, რაც ზაიჩენკოს ამ მოქმედებამ გამოიწვია. თეატრში ლანძღვაგინება მიაყარეს კონსულს და კიდევ უარეს უზამდენ, რომ მას გვერდში შავ რაზმელები რევოლვერით ხელში არ ამოსდგომოდენ. მეორე დღეს და შემდეგ ცენოვსკიმ აუარებელი წერილები მიიღო, სადაც მას თანაგრძნობას უცხადებდენ, თანაც საზოგადოების ძალდატანებით ერთი მხრივ და მეორე მხრივ საქმის საქვეყნოთ გამოსარკვევათ, ცენოვსკიმ ზაიჩენკოს სასამართლოში უჩივლა.

ეგ საქმე ძმაო, 10 ოქტომბერს გაარჩია მომრიგებელ მოსამართლემ და მოწმეების ჩვენებიდან აი რა გამოირკვა:

სპარსეთის კონსული ზაიჩენკო—მდიდარი კაცია. ერთ დროს ის სწავლობდა პეტერბურგში უმაღლეს სასწავლებელში, საიდანაც დათხოვილ იქმნა საამხანაგო სასამართლოს გადაწყვეტილებით. მიზეზი მისი გარყვნილება ყოფილა. პეტერბურგიდან ზაიჩენკოს თავის მოქმედება ადესაში გადმოუტანია. მას აუთვალთვალებია ქალების ერთი გიმნაზია (სახელდობრ მარტკოსი) და ყოველ დღე გაკვეთილების გათავების დროს იქ გაჩნდებოდა ხოლმე, სადაც ცდილობდა ახალგაზდა მოწაფე ქალების გაცნობას. შრომას უნაყოფოთ არ ჩაუვლია და გაუცვნია ერთი **15** წლის ქალი. წაიყვანდა თურმე საწყალ ბავშვს სადმე ბნელ კუთხეში და იქ აჩვენებდა ძვირფას ნივთებს, ელაპარაკებოდა შენ მალე ჩემი ცოლი გახდებიო და შემდეგ ორივენი პარიზისკენ გავსწევთო. ერთხელ მოუნდომებია მისი შეტყუება სასტუმრო „ბრისტოლში“, მაგრამ როგორღაც ბავშვი ხელიდან გასხლტომია. სამაგიეროთ მეორეჯერ დახვედრია ქუჩაში და ძალით შეუთრევია ნომრებში, სადაც ძალადობა უხმარია, შემდეგ ექვსი შაური მიუცია ეტლიზა და თავიდან მოუცილებია. რამოდენიმე თვის შემდეგ ბავშვი დაორსულებულა. საწყალს ყოველივე ეს უამბნია ამხანაგებიზა და ერთი აღმზრდელი ქალისათვის. უკანასკნელს ხელში ჩაუგდია აგრეთვე ბავშვის დღიური, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ზაიჩენკოს ოინები (ეს დღიური დღეს ტოლმაჩოვს აქვს ხელში და მომრიგებელ-მოსამართლესაც კი არ გამოუგზავნა) ქალიშვილი სასწავლებლიდან დაუთხოვიათ.

შენ, ძმაო ეშმაკო, უნდა იცოდე, რომ მარტო ამ ერთი ბავშვის გაუბედურებით კი არ დამთავრებულა და განსაზღვრულა ბ-ნი კონსულის „მოღვაწეობა:“ მან ბევრ სხვებსაც დაუგო თურმე მახე, მაგრამ შემთხვევით ყველგან ხელი შეეშალა. არც მარტკოს გიმნაზიის ამარა ყოფილა მისი მაღალგარყვნილება კონსული სპარსეთისა. საქმე სხვა მოსწავლე ქალებთანაც ჰქონია. ერთი მოწაფე ქალი სადღაც ბალზე გაუცვნია და რასაკვირველია სახლში წაუყვანია. ჯერ მიურთმევია სხვა და სხვა ტკბილეულობა და შემდეგ უთქვამს: „მე დიდი ესტეტი ვარ და საშინლად მიყვარს ტიტველი ტანის ცქერაო“ და კიდევაც გაუხდევინებია კაბა. ამავე ქალიშვილისათვის უჩვენებია ბავშვების ხელით ნაწერი ალბომი.

მაგრამ საჭიროთ მიმაჩნია დავუმატო, რომ კონსულს მარტო მოსწავლე ქალები კი არ ჰყოლია მზრუნველობაში? უყურადღებოთ არ სტოვებდა თურმე პატარა მოსამსახურეებს, რომელთაგან ერთ-

მა თურმე თავიც მოიწამლა. ყოველივე ამის შემდეგ წარმოიდგინე სასამართლომ დამნაშავედ აღიარა კონსული ზაიჩენკო. სამაგიეროთ მას გვერდში უდგანან ადესის ხულიგანები და თანაგრძნობით ეკიდებიან სრულიად რუსეთის პურიშკევიჩ დუბროვინები. მართლაც და ეს ხომ პოლიტიკური დანაშაული არ არის, მათი მრისხანება გამოიწვიოს? ამას წინად იუდა მენშიკოვმა მთელი ფელეტონი დასტამბა თავის სანაგვეში («Новое Время»), სადაც ამტკიცებდა, რომ ზაიჩენკო ზნეობრივი სიფაქიზის იდეალიაო და ზეცით მეხი მოავლინა ექიმი ცინოვსკის თავზე, ინციდენტის გამოაშკარავებისათვის. ადგილობრივმა „შავმა კავშირმა" კონსულს თავისი მცველები დაუყენა, რომ კვლავაც განაგრძოს დიდებული მოღვაწეობა.

ასე თუ ისე, დღეს ადესაში ბავშვიც კი იცნობს ვინ ბრძანდება ბ-ნი ზაიჩენკო და სამწუხარო იქნებოდა შენ არ გცოდნოდა, ძმაო ეშმაკო!

იმედია ნაცნობობით უმადური არ დარჩები.

კ—ა,



## მოლოდინში.

ეი, სადა ხარ? რათ არ გვინათებ  
მწარე ეკლებით მოფენილ გზასა;  
რათ არ ჩაგვბერავ იმედს ღვთაებრივს,  
რათ არ გვასწავლი წმიდა ლოცვასა?

რათ არ აგვანთებ შურის ძიებათ,  
რომ გვათქმევინო სიტყვა სათქმელი,  
გაგვაშლევინო წმიდა ემბლემა,  
შრომის სუფევის ის კრეთსაბმელი!

გვასწავლე ლოცვა... შვილთაც ვასწავლით,  
რომ რიჟრაჟზე თუ შებინდებისას,  
იხსენიებდენ შავსა ამბავსა  
წმიდათა-წმიდის შეგინებისას!

აქ, ჩვენში, ბნელა... დიდი ხანია  
რწმენა-იმედის ჩაჰქრა კანდელი,  
სავალ გზას ავსცდით, ზღვის მორევში ვართ,  
სიტყვა გვითხარი უკანასკნელი...

რას ვაქნევთ ტალღებს, ობოლ ხომალდსა,  
რა პასუხს ვეტყვით ზღვისა როყინსა!  
გვასწავლე სიტყვა, შვილთაც ვასწავლით:  
ბოლო მოეღოს ამდენ ლოდინსა!

იასამანი.

# მოხსენება

## ბათუმელ კვინწარი ეშმაკისა.

თქვენო მაღალ-უეშმაკეულესობავ! ბევრსაც არ უკვირს, გვებს კაცი იმ უბედურებას, რა უბედურებაშიაც დღეს საცოდავი ბათუმი გაჭიმულა. ჯერ ერთ, ბატონო ჩემო, და ქარხნები დაიხურა. ხალხი წავიდ-წამოვიდა. ვეებერთელა ქუჩაზე რომ გაიხედავ, სადღაც ერთს კაცს იქნებ მოჰკრა თვალი. ქუჩები ბალახით შეიმოსა, ისეთი კარგი ბალახით, რომ ერთს დროს მეჯოგეებმა თხოვნის მირთმევაც კი დაუპირეს ქალაქის თვითმართველობას: თქვენს ქუჩებს იჯარით ავიღებთ საქონლების საბალახოთო. ერთი სიტყვით, დაცარიელდა ყველაფერი, ანუ, როგორც გურულები იტყვიან,—ყველაფერი გამოხინკილდა. გამოხინკილდა მაღაზიები, გამოხინკილდა ქოხები, გამოხინკილდა ქალაქის თვითმართველობის კასა, ისე საჯაროდ გამოხინკილდა, რომ ქალაქის თავი წამდაუწუმ პეტერბურგისაკენ მიიჩქარის—არიქა გვიშველეთ, ნახევარი კაპეიკი გვიწყალობეთ ბათუმიდან ყოველ გატანილ ფუთზე, თვარა, უიმისოდ სული ამოგვხდებაო. კიდევ კარგი, რომ ქალაქის თავის დაუსრულებელ კამანდიროვკისათვის ქანქარის შოვნას ახერხებენ და მით იმედით მაინც ცოცხლობენ: საფუთო გადასახადს მოგვართმევენო. .

ჰო და ასეთ გამოხინკილებულ ქალაქს კარს მოადგა ჯიბეთა გამომახინკილებელი ანუ ბატონი შანტაჟისტები. ამათ თავდასხმას ზედ მოჰყვა ადმინისტრაციისაგან მოქალაქეებზე სავალდებულო დადგენილებათა თავდასხმა. ქარხნების დახურვის შემდეგ თუ რამე კიდევ შერჩა ბათუმს, იმის წადლეტა შანტაჟისტებმა მოინდომეს და შანტაჟისტებს თუ რამე გადაურჩათ, იმის გამოხინკილებას სავალდებულო დადგენილებები ასრულებს.

ჯერ ერთი—„სტრაჟნიკების" დაქირავებას, რამდენიმე ხმოსნებმა ფრიად, „როგორც ერთმა კაცმა" კვერი დაჰკრეს. 70—80 ათასი ქანქარი საჭიროა. ვაა!.. ღმერთი არაა!.. მეორე, ყავა-ხანების, მაღაზიების და სხვა სავაჭრო დაწესებულებათა თითოეულმა პატრონმა უნდა დაიქირავოს თითო მცველი, ანუ „სტოროჟი". ამასაც დასჭირდება, სულ მცირე რომ ვთქვათ, 40 ათასი ქანქარი. მესამე, კიდევ ფანრების დადგმა, შეშის საწყობებისათვის მაღალი ღობეების შემოვლება და სხვა და სხვა რამდენიმე ათასს ქანქარს მაინც შეადგენს ამრიგად, ყველა ამ „წყალობებს" თავი რომ მოუყაროთ და ერთს ჯამში მოვაქციოთ, გამოვა 200 ათასი ქანქარი. და მერე ამდენა ქანქრების გადახდას საცოდავმა გამოხინკილებულმა ბათუმმა როგორ უნდა გაუძლოს!..

დიდ საგონებელში ჩაავდო სავალდებულო დადგენილებათა ერთმა მუხლმა ბლუზიანი ხალხი.—რადგან,—ამბობს სავალდებულო დადგენილებათა ერთი მუხლი,—მძარცველებს ხშირად განსაკუთრებითი ტანსაცმელი აცვიათ და იმით ერთმანეთს ნიშნებს აძლევენო, ამიტომ

არავის არ უნდა ეცვას დაშვებული შავი ბლუზით და სხ. წინააღმდეგ შემთხვევაში ან სამი თვე ციხე, ან 3000 ქანქარი ჯარიმა. მოსალოდნელია, რომ ამის შემდეგ ყველა აქაური შანტაჟისტები სერთუკებში გამოიწყობიან, თუ ამ დრომდის მართლა მათ მხოლოდ ბლუზები ეცვათ.

ასეა, თქვენო მაღალ-უეშმაკულესობავ, ხელიდან წასულ ხინკილეთის საქმე. ასეთი უბედურება მოადგა მას ყოველი მხრიდან დასაფსებად. თუ რა უშველის ასეთს მდგომარეობას, ამას, ალბათ, თავს ვერ გაართმევს თვით გულთამხილავი ეშმაკიც კი.

მე კი მდგომარეობასა ასეთსა, თუმც თქვენი ნება იქნება, წავუდიდინებ ლექსსა მცირედსა.

მომართეთ ყურნი!

უბედურ დღეს გაჩენილა
აგი ჩვენი ხინკილეთი,
რასაც ის ცდის—ტანჯვა-კვნესა
სად ნახულა იმდენეთი!..
მისი ცოდვით იდაგება
მაღლა ცა და ძირს ხმელეთი,
ამოუშრა წყარო შვების,
აღარა აქვს აღარც ერთი...
თავი დარბის პეტერბურგში,
აქ წამითაც არა დგება,
საგზოთ ქანქარს ბლომათ ულაპავს,
ასეთია მისი ნება,
და თუ მისი იქ მგზავრობით
არაფერი გამოდნება—
ნიკოლაძე--ზდანოვიჩის
მოწმეთ მაინც გამოდგება..
უქანქარო ხინკილეთს კი
სიმშილისგან სული ძვრება,
დათვათვხურობს, იბერება,
ფართი-ფურთობს ოფლათ დნება,
მარა ჩანს, რომ ამგვარ „საჭმლით“
მისი კუჭი ვერ გაძლება
ვერც „კანონი“ დასდებს წამალს
ათასი რომ დღეში ცხვება!..

კვინწარი.



## „ ი ს ი ნ ი “

დაე მდევნიდნენ სიმართლის თქმისთვის,
ჯვარზე გამაკრან, მაწამონ, მტანჯონ;
დე ჩემი სიტყვა და ჩემი საქმე
აუკუღმართონ, ბოროტათ საჯონ;
ზიზღით მიცქერდენ, როგორც მტერი მტერს,
კიცხვით და გმობით მიხსენიებდენ,
დე მყუდროება შეშფოთებულნი
ჩემს წინააღმდეგ შურს იძიებდენ!
დე მათს ენაზე ვიყო იუდა:
ჩემსკენ აშვერდენ სანიშნოთ თითსა,—
მე არ შევსდგები და კიდით კიდე
ვფენ მართალ სიტყვას და მაგალითსა.
დე ჩემი სიტყვა მათ ტყვიათ მოხვდეს
გულის გამპობათ და გამფათვრელად,
არ მენანება ამ შემთხვევაში,
თუნდ ისტორიამც მომნათლოს მკვლელად!
დაე ჩემს შრომას აჯილდოებდენ
ეკლის გვირგვინით და ძოწეულით,
მე მაინც ისევ იმას განვაგრძობ,
არ დავეცემი ძნელ გზაზედ სულით!
მე არც კი ვითხოვ მათს თანაგრძნობას,
რაც შედეგათ სდევს იმათ ლაჩრულ შიშს,
როცა ისინი განსაცდლის წინა
ირთიან და ჰკარგვენ სრულად ანგარიშს.
შენგან ითხოვენ მოწყალებასა,
შებრალებისთვის ფერხთ გილოკავენ...
შენგან ითხოვენ, როცა მსგავს დროში
თვითონ კვიდრ ძმასაც არ დაჰზოგავენ...
არა არ ვითხოვ „მათს თანაგრძნობას“!
თანამგრძნობელნი მე სხვები მყავან,
ისინი... მოვლენ აქ დაძახილზე
თუ განმზადილნი ჯერ არა სჩანან.
მოვლენ და ერთად ჩვენ გავსწევთ წინა!
მაშვინ გმირული ყიჟინის ხმები,
ძილს გაუფრთხობენ არე-მარესა,
ხმას გამოსცემენ ზანზარით მთები!
მაშვინ ოჰ, ვიცი, მოვლენ „ისინიც“,
კვლავ შემოგვფიცვენ მლიქვნელნი ძმობას:
„ვაშა, ვაშაო!“ და ფიანდაზათ
ძირს გაგვიშლიან „თვის თანაგრძნობას“!..
მაგრამ... ტყუილად!.. არა, არ ვითხოვთ...
ჩვენ სხვაც ბევრი გვყავს თანამგრძნობელი,
ჩემი სიმღერაც ამათ ეხება:
„მოდით, ჩაგრულნო, მომეცით ხელი!“.

ნ. ზომლეთელი.

# ოსმალეთი და ბალკანეთი.

„საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო,“ ამბობს ქართული ანდაზა.

ოდესმე ძლიერი ოსმალეთიც დღეს საწყალი კაცია ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის. დღევანდლამდე ოსმალეთი ერთგვარი გემრიელი ლუკმა იყო ევროპის ძლიერ სახელმწიფოთათვის განმზადილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის დანახვა-გახსენებაზე თითოეულ მათგანს პირზე ნერწყვი ადგებოდა.

„ღონე მიხდილი იმპერია ოტომანისა თავისი დღით მოკვდება და მაშინ გავინაწილებთო,“ ფიქრობდენ ევროპის ვეშაპები, მაგრამ დახეთ უბედურებას! ოსმალეთმა გამოიღვიძა, თვალი გამოიფშვნიტა, მომაკვდინებელ დესპოტიზმისაგან განიკურნა და გვარიანი კონსტიტუცია შემოიღო. კრიზისმა მშვიდობიანათ ჩაიარა და სიკვდილზე ლაპარაკიც მეტი დარჩა.

ელდა ეცა ევროპის მდევებს! ისინი მის სიკვდილს ელოდენ და ოსმალეთი კი განახლდა, აღორძინების გზას დაადგა. რაღა გზა დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ განახლების პირველი დღეებით აღარ ესარგებლათ ტკბილი ულუფით პირ-ამჟავებულ მეზობლებს. და აი მართლაც ავსტრო ვენგრიამ ერთის დაკვრით ჩამოათალა მას ჩრდილო-დასავლეთი კუნძული—ბოსნია და გერცოგოვინა; ბოლგარიამ თავი დამოუკიდებლათ განაცხადა და აღმოსავლეთ რუმელიის რკინის გზა ხელში ჩაიგდო; საბერძნეთმა კრიტოსის კუნძული შეიერთა და სხ. და სხ. ყოველის მხრიდან მოადგენ შინაური მდგომარეობით დასუსტებულ ოსმალეთს და ცდილობენ, ვიდრე წელს გაიმაგრებდეს, რაიმე შეაგლიჯონ. ევროპის დიპლომატებს საქმე გაუჩნდათ ეს საქმეა **ბალკანეთის საკითხი.** რომ მკითხველებს გავუადვილოთ გაზეთების მიერ მოწოდებულ საყურადღებო ცნობათა გაგება, ჩვენ ვათავსებთ დღევანდელ ნომერში ბალკანეთის ქარტას. რადგანაც ადგილი ნებას არ გვაძლევს და არცა გვაქვს აზრათ ვრცლათ ამ საკითხის გარკვევა, ამიტომ ჩვენი ცნობები რაც შეიძლება მარტივი და მოკლე იქნება. ბალკანეთის საკითხზე მთელი ტომებია დაწერილი და ვისაც მისი შესწავლა უნდა სხვა წყაროს მონახავს.

**ბალკანეთის ნახევარ-კუნძული.**

ეს სახელი ეწოდება ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუნძულს, ე. ი. იმ ნაწილს, რომელიც მომწყვდეულია შავსა, მარმარილოსა, არხიპელაგისა, იონიისა და ადრიატიის ზღვებს შორის. ბალკანეთი მთიან-გორიანი ადგილია, მრავალ პატარ-პატარა სახელმწიფოებათ დაყოფილი. მისი აღმოსავლეთ კუნძული რუმინიას უჭირავს, შუაგული ბოლგარიასა და ევროპის ოსმალეთს, დასავლეთი სერბიასა, ბოსნიას და ჩერნოგორიას, ხოლო სამხრეთი საბერძნეთს.

**რუმინია.**

რუმინია როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო 1857 წელს დაარსდა, სამთავრო მოლდავიისა და ვალახიის შეერთებით. უჭირავს უმთავრესათ ვაკე ადგილი მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე სივრცით 131 ათასი ოთხკუთხი ვერსი. მცხოვრებთა რიცხვი რუმინიაში თითქმის 6 მილიონამდე ადის, რომელთაგან უმრავლესობას რუმინნები შეადგენენ. არიან აგრეთვე ებრაელები (400 ათასამდე) მადიარები (50 ათასი) და ჩაჩნები (200 ათასამდე.)

1877 წლამდე რუმინია ოსმალეთისაგან იყო დამოკიდებული, ხოლო ამ წლიდან მოიპოვა სრული დამოუკიდებლობა. დღეს რუმინიას ყავს თავისი მეფე, რომელიც სცხოვრობს სატახტო ქალაქ ბუქარესტში. სახელმწიფო წეს-წყობილება კონსტიტუციონურია.

სწავლა-განათლების მხრივ რუმინია არ არის მეზობლებზე ჩამორჩენილი. იქ არსებობს 2 უნივერსიტეტი, 13 ლიცეი, 18 გიმნაზია, 11 რეალური სასწ., 6 სასულიერო და 9 სამასწავლებლო სემინარია და 3600 სახალხო სკოლა, დღეს რუმინიას ოსმალეთთან სადაო თითქმის არაფერი აქვს.

**ბოლგარია.**

რუმინიის სამხრეთით, მდ. დუნაის მარჯვენა ნაპირზე ბოლგარიის სამთავრო სძევს. სივრცით მას 63 ათასი ოთხკუთხი ვერსი უჭირავს, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი 3 მილიონს აღემატება. ბოლგარიის სამთავრო რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1877—78 წ.) დაარსდა და დღევანდლამდე მთავარი ბოლგარიისა საგარეო პოლიტიკაში სულთანისაგან იყო დამოკიდებული. მასთან ერთად ბოლგარია იხდიდა ხარკს ოსმალეთის სასარგებლოთ. შინაურ საქმეებში ის თითქმის დამოუკიდებელი იყო, ვინაიდან ყავდა საკუთარი ჯარი და ჰქონდა თავისი კანონები. ფაქტიურათ ბოლგარიამ შეიერთა სამხრეთით მდებარე პროვინცია, აღმოსავლეთ რუმელია.

დღეს, ოსმალეთის რევოლიუციით გათამამებულმა ბოლგარიამ ჯერ დაიჭირა აღმოსავლეთ რუმელიის რკინის-გზა და შემდეგ თავი სრულიად დამოუკიდებლათ გამოაცხადა. ბოლგარიის მთავარმა ფერდინანდმა მეფის ხარისხი მიიღო.

ბოლგარიის ამგვარ საქციელს არც ოსმალეთი და თითქმის არც დიდი სახელმწიფონი არ ადასტურებენ. ეს გამწვავება ბოლგარ-ოსმალთა შორის ბევრის აზრით შეტაკებას გამოიწვევდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქმე მორიგებით და მშვიდობიანათ მიმდინარეობს. რა მოხდება შემდეგში, ამას მომავალი დაგვანახვებს. ევროპის დიპლომატების აზრით ეს საკითხი მომავალ საერთაშორისო კონფერენციას გადაეცემა.

**სერბია.**

რუმინიასა და ბოლგარიაზე დასავლეთის მხრით მობმულია სერბია. სივრცით ის 45 ათას ოთხკ. ვერსს აღემატება, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი $2^{1}/_{2}$ მილიონამდე ადის, რომელთა უმეტესობას სერბები შეადგენენ. ძველათ სერბიაც დამოკიდებული იყო ოსმალეთისაგან, მაგრამ მან გაცილებით ადრე მოიპოვა დამოუკიდებლობა. დღეს სერბიას ყავს თავისი მეფე და აქვს კონსტიტუციური წეს-წყობილება.

უმთავრესი ქალაქი სერბიისა ბელგრადი მდებარეობს მდინარე დუნაის პირათ ავსტრო-ვენგრიის საზღვარზე. დღევანდელი ვითარებით სერბიაც ძლიერ აღელვებულია და საომრად იქოჩრება.

**ბოსნია-ჰერცოგოვინა.**

სერბიის დასავლეთით მდებარეობს ბოსნიის პროვინცია. 1878 წლამდე ეს ქვეყანა ოსმალეთს ეკუთნოდა; ამ წლიდან კი იქ ავსტრიამ ჩააყენა

თავისი ჯარები და ფაქტიური პატრონი ის შეიქნა. სახელით ბოსნია დღევანდლამდე ოსმალეთის პროვინციათ ითვლებოდა. წელს ავსტრიამ ის ოფიციალურათ შეუერთა თავის სამფლობელოს და მით ერთობ გაამწვავა ბალკანეთის საკითხი.

სივრცით ბოსნიას 50 ათასი ოთხკ. ვერსი უჭირავს, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი მილიონ ნახევარზე მეტია. მცხოვრებთა უმრავლესობა სერბთა ტომისა არის და იმისი შეერთება სერბიის საოცნებო საგანს შეადგენდა. ამის გამო ავსტრიის მიერ ბოსნიის მისაკუთრებამ დიდი მღელვარება გამოიწვია მთელს სერბიაში. გაზეთების სიტყვით ქალაქებში გამართულ მიტინგებზე ხალხს ავსტრიასთან სომრათ მოუწოდებდენ. ჯერ-ჯერობით კი საქმეს მხოლოდ დიპლომატები აწარმოებენ.

**ჩერნოგორია.**

ეს პატარა სამთავრო, სივრცით 8 ათას ოთხკუთხი ვერსი და 300000 მცხოვრებთა რიცხვით, მდებარეობს ბოსნია-გერცოგოვინის სამხრეთ დასავლეთით. მცხოვრებთა უმეტესობა სერბთა ტომისაა და ლაპარაკობს სერბიულ ენაზე. ავსტრიის მიერ ბოსნიის მითვისებამ ჩერნოგორიაშიაც დიდი უსიამოვნობა გამოიწვია. ჩერნოგორიის მთავარმა ბელგრადში თავისი გენერალი გაგზავნა, სადაც მას დიდი ოვაციებით შეეგებენ.

ჩერნოგორია ძლიერ ღარიბი ქვეყანაა. მთელი მისი ბიუჯეტი 600 ათას გულდენს არ აღემატება. ამაში შედის რუსეთის მიერ დანიშნული დახმარებაც. მშვიდობიანობის დროს ჩერნოგორიას 1000 მეომარიც არ ეყოლება, ხოლო ომის დროს 36 ათასი კაცის გამოყვანა შეუძლია. ის სრულად დამოუკიდებელია ოსმალეთისაგან.

**ევროპის ოსმალეთი.**

იმ ნაწილს ოსმალეთისას, რომელსაც უჭირავს ბალკანეთის შავგული ევროპის ოსმალეთს ეძახიან. ეს იმიტომ რომ არის მეორე, უდიდესი ნაწილი ოსმალეთა იმპერიისა, რომელიც აზიაში მდებარეობს. ევროპის ოსმალეთი რამოდენიმე პროვინციისაგან შესდგება; სახელდობრ: დასავლეთის კუთხე უჭირავს ალბანიას, სამხრეთ-დასავლეთი-მაკედონიას, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთი-აღმოსავლეთ რუმელიას.

მთავარი ქალაქები ევროპის ოსმალეთისა არის: სალონიკი, ადრიანოპოლი, ფილიპოპოლი, უსკიუბი, ისტიბი სკუტარი და სხ. სატახტო ქალაქი კი სტამბოლი ანუ კონსტანტინოპოლი, რომელიც მდებარეობს სტამბოლის სრუტზე მარმარილოს ზღვის ნაპირათ.

ოსმალეთის თანამედროვე რევოლიუციაში დიდი მონაწილეობა მიიღეს საზოგადოთ ქალაქებმა სალონიკმა, უსკიუბმა, ისტიბმა და სხ.

**საბერძნეთი.**

ძველათ ძლიერი და განათლებულ საბერძნეთს დღეს ბალკანეთის სამხრეთი კუნძული უჭირავს. იმისი სივრცე არ აღემატება 65 ათას ოთხკუთხ ვერსს (რომელთაგან 10 ათასი კუნძულებს უჭირავს), ხოლო მცხოვრებთა რიცხვი $2^1/_2$ მილიონს. თითქმის ყველა ის პროვინციები, რომლებიც ოსმალეთს ეკუთვნიან ძველ საბერძნეთის სამფლობელოს შეადგენდა და თვით სატახტო ქალაქი კონსტანტინოპოლი, საბერძნეთის ქალაქი იყო. არხიპელაგის ზღვაში გაბნეულ კუნძულებშიაც დღეს ბევრი არ ეკუთნის საბერძნეთს· უმთავრესი მათგანი კრიტი ოსმალეთის ნაწილს შეადგენს, თუმცა უმთავრესათ ბერძნებით არის დასახლებული. ისარგებლა რა დღევანდელი მდგომარეობით საბერძნეთმა კრიტის შეერთება დააპირა. ამან კიდევ მეტათ აწეწა და გაამწვავა ბალკანეთის საკითხი. ოსმალეთმა აღარ იცის რომელ ერთს გასცეს პასუხი ამ შინაური არევ-დარევის დროს.

ბალკანეთის საკითხი ბევრჯერ ჰქონია თავ-სატეხათ ევროპას და როგორც ხედავთ დღესაც იგივე მეორდება. ძნელი სათქმელია რას გამოიწვევს ბალკანზე წელის ამღვრევა. ერთი კია ცხადი, რომ დღევანდელ პირობებში ოსმალეთი სხვაზე უფრო დაზარალდება. საუკეთესო დრო მისი რომელიმე ნაწილის ჩამოსაგლეჯათ დღესა აქვთ ევროპის სახელმწიფოებს და რა თქმა უნდა შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებენ.



**მ უ შ ა ს.**

შრომისათვის დაბადებულს
შრომაშივე გძდება სული
და რათ გიკვირს რომ „დიდებულთ“
არ აქვთ შენი სიბრალული.
მათ ის უნდათ შენი შრომა
ჩალის ფასად შეიძინონ,
შენის შრომით დასტკბენ თითონ
ინეტარონ და ილხინონ!—
შრომით მასხრათ აღბეული
შრომაშივე ჩახვალ საფლავს;
ვერ გაშინებს მწარე ბედი
უღალავათ ანძრევ მაგ მკლავს!!
რათ არ ფიქრობ მაგ შენ შრომას
ჰქონდეს მეტი მტკიცე ძალა,
დაჰგმო ის, ვინც აზრი, ჭკუა
შენ დაჩაგვრას ანაცვალა?

იონა თლუღელი.




## მცირე განმარტება ქარტისათვის.

**მხარეები ქარტაზე.** უნდა იცოდეთ, რომ ქარტის ზედა ნაწილი ყოველთვის ჩრდილოეთია. ქვედა—სამხრეთი. მარჯვნივ—აღმოსავლეთი, ხოლო მარცხნივ—დასავლეთი.

**მასშტაბი.** დიდი ქვეყანა რომ პატარა ქაღალდზე დახატო, საჭიროა მასშტაბის ცოდნა. მასშტაბს ეძახიან პატარა ზომას, რომელშიაც დიდს ზომას ვგულისხმობთ. ამ ქარტაზე ერთი დიუმი 140 ვერსს უდრის, მეოთხედი დიუმი კი 35 ვერსს. როცა გსურთ ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქამდე მანძილის გაგება, გაზომავთ მასშტაბში ნახმარი პატარა საზომით, ე. ი. დიუმით და რამდენჯერაც მოთავსდება, იმდენჯერ 140 ვერსს აიღებთ, რაიცა შეადგენს ნამდვილ მანძილს მათ შორის. თუ მთელი ზომა მასშტაბისა არ დაეტევა, მაშინ მეოთხედი ნაწილით გაზომავთ და იმდენჯერ 35 ვერსს აიღებთ.

**ზღვები.** ქარტაზე ზღვები განსაკუთრებული ფერით არის აღნიშნული. ხშირათ ერთი ზღვა მეორეს ძლიერ ვიწრო ზოლით უერთდება. ამ ვიწრო ზოლს სრუტეს ეძახიან. მაგალითად არქიპელაგის ზღვა უერთდება მარმალილოს ზღვას ასეთი წვრილი ზოლით, რომელსაც დარდანელის სრუტე ეწოდება. ის გამაგრებული აქვს ოსმალეთს და არც ერთი სახელმწიფოს სამხედრო გემს შიგ არ ატარებს. მეორე ასეთი სრუტე აერთებს მარმალილოს ზღვას შავ ზღვასთან და ეძახიან სტამბოლის ანუ კონსტანტინეპოლის სრუტეს. რუსეთი თხოულობს, რომ ოსმალეთმა გახსნას

სამხედრო გემებისთვის დარდანელის კარები.

**კუნძული.** კუნძულს ზღვაში გაბნეულს ხმელეთის პატარა ნაწილებს ეძახიან. კუნძულებით მდიდარია არქიპელაგის ზღვა. შავ-ზღვაში არ არის არც ერთი კუნძული.

## ქართველი მოღვაწენი.



## დამსახურებული პოლიციელი

მეგრელი აზნაური

### ლუკა გაბუნია.

მეგრელი აზნაური ლუკა გაბუნია, სულ უბრალო მიზეზით გახდა ისტორიაში ჩავარდნის ღირსი, თორემ არც ლიტერატურაში, არც მხატვრობაში, არც სხვა საზოგადო მოღვაწეობაში მას წილი არ უძევს. მას შემდეგ რაც ბ-ნ ლუკას თავი ახსოვს, ის სულ პოლიციის სამსახურში ყოფილა, თუმცა მიდრეკილება ხშირათ ჰქონია ბათუმის თვით-მართველობაში მოკალათებისა.

გიმნაზიის ოთხი კლასის დამთავრებით, ჩვენი ლუკას განათლებაც დამთავრდა. ის სულ ახალგაზრდა შევიდა პოლიციის ნაწილში და ჩქარა ბოქაულის ხარისხიც მიიღო. ამბობენ, ამაში ძლიერ შეუწყო ხელი ბათუმის გუბერნატორის დაკარგული ცხენის აღმოჩენამო. ლუკამ ისე სწრაფად და გაუქირვებლიათ მონახა თურმე დაკარგული საქონელი, რო კაცი იფიქრებდა, თავლაში ყავდა დაბმული და გამოიყვანაო.

ძნელი საანგარიშოა რამდენ ხანს დარჩა ბოქაულათ ბ-ნი გაბუნია, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ამ თანამდებობიდან ის გადაიყვანეს ართვინის ოლქის უფროსის თანაშემწეთ. აქ მან დიდი ადმინისტრატიული ნიჭი გამოიჩინა და სწორეთ ამ ხანებში შეიძინა ბათუმში ორ სართულიანი ძვირფასი სასახლე. თავისს ნაწილში ის ყოველგვარი ნიჭიერებით დაჯილდოებულია და წყალში რო ჩააგდო მშრალი ამოვა. მოხუცებულობის ჟამს, როცა სარჩო საკმაო შეიძინა, და ძალ-ღონემ უსუსტა, ლუკა სამსახურიდან გამოვიდა და მყუდრო ცხოვრებას მიეცა. სწორეთ ამ განზრახვით უნდოდა მას ბათუმის ქალაქის გამგეობაში ეშოვნა რაიმე თფილი ალაგი და სიბერის დღენი ტკბილათ გაეტარებია. ეს სურვილი ჯერაც მხოლოდ სურვილათ რჩება.

საისტორიო საქმე ლუკას ცხოვრებაში გახლავთ მის მიერ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე წარმოთქმული სიტყვა, კარლო ჩხეიძის აზნაურთა სიიდან გამორიცხვის შესახებ. მრავალ თანამოაზრეთა შორის, მარტო ლუკამ გაბედა ისეთი აშკარა ზუბრულ-დურმიშხანული სიტყვის წარმოთქმა და მით საუკუნოთ შერგო თავი ისტორიაში.

ძნელი სათქმელია რა გზით მიიღო აზნაურობა ბ-ნმა ლუკამ, რადგან გასულ ხანებში სამეგრელოს აზნაურთა უმეტესობას ტიტული ბ-ნმა აშორდიამ უბოძა, მაგრამ ის იმდენათ ენერგიული დამცველია თავისი. წითელ-სისხლოვანი წოდებისა, რომ სამშობლო ზუბრთა შორის ბადალი იშვიათად მოეპოება.

ბოდიშს ვიხდი მკითხველთა წინაშე თუ დღევანდელი ულუფა საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრებიდან ეგზომ უგემური და მწარეა. „მოღვაწეთა“ შორის დიდი სხვა-და-სხვაობა სუფევს, ხოლო ჩვენი ვალია ყველას თავისი მივუზღოთ. დამსახურებული პოლიციელი აზნაური ლუკა გაბუნია, რეაქციის ხანებში ხშირად ამოცურდება ჩვენი ცხოვრების ზედა პირზე და გთხოვთ იცნობდეთ.

ისტორიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შიმშილი.

### ზღაპარი მოზრდილთათვის

(გერმანულიდან)

იყო კაცი ფრიად მდიდარი,—სახელი მისი დორი. თვალ-უწვდენი მინდორ-ველნი, მრავალი ფაბრიკა-ქარხანანი, საუკეთესო მანქანებით და ურიცხვნი მონა მოსამსახურენი შეადგენდენ მის სიმდიდრე-საკუთრებას. დორი განთქმული იყო მთელს თემსა და სახელმწიფოში. მისი მრისხანე სახე შიშის ზარსა სცემდა ყველა მის ხელქვეითსა და მოსამსახურეს. ლეგიონი მონა-მოსამსახურეებისა იმულებული იყო შიმშილისა გამო ერთგულათ ემუშავნა დორის ფაბრიკა ქარხნებში და თავისი ჯოჯოხეთური შრომით დღითი დღე იზრდებოდა დორის ისედაც უთვალავი ნივთიერი სიმდიდრე. დორი იმდენათ მდიდარი და შემძლე იყო, რომ მასთან დამეგობრება მეფეებსაც კი ენატრებოდათ და ხშირად რჩევა დარიგებასაც შესთხოვდენ ხოლმე. ამასთან დორს ერთგულად სწამდა მამა-პაპათა სალოცავები, თავგამოდებით ებრძოდა ბოროტ სულებს და აგრეთვე ყველას, ვინც წინააღმდეგი იყო მისი რწმენა შეხედულობისა.

ერთ მშვენიერ დღეს დორს მდიდარი ვინმე თავადი ეწვია. დღე სანადიროთ იყო დანიშნული. ჩინებული ნადირობის შემდეგ სტუმარ-მასპინძელმა ქარხანა-ფაბრიკების დათვალიერება მოისურვეს და მონათა თანხლებით რიგ-რიგით უვლიდენ ბუმბერაზ შენობათა ჯგუფებს. ხედავდენ, როგორ უწყალოთა და შეუბრალებლათ ეპყრობოდენ ზედამხედველები დაკონკილ-დაბეჩავებულ მონებს და ფერმიმკრთალ მუშა ქალებს, როგორი უდიერი ცემა-ტყეპით აიძულებდენ მცირე წლოვან ბავშვებს მუყაით მუშაობას. ნახევრად ტიტველი მონა მოსამსახურენი სწრაფად დასტრიალებდენ თავს გავარვარებულსა და ცეცხლ-მფრქვეველ ქურებს, რომლის სტუმარი თავადი კედელს აჰკროდა. დორმა დაამშვიდა თავადი და აუხსნა, რომ ესენი ასეთ ჯოჯოხეთურ მუშაობას სიყრმიდანვე შეჩვეულნი არიან.

მგზავრები შემდეგ განყოფილებაში გადავიდენ. აქ გასაოცარის ხმაურობით გრიალებდენ ათასგვარი მანქანები, რომელთაგან ყურთა სმენაც აღარ იყო. თავადი განცვიფრებული შესცქეროდა მანქანათა-შორის მონავარდე ქალებსა და კაცებს, რომელნიც ელვის სისწრაფით გადადიოდენ ერთი ალაგიდან მეორეზე და უკვირდა: რატომ არსად გაიხლართებიან და მანქანის მსხვერპლი არ გახდებიანო.

— მონები ფრთხილათ მუშაობენ, შენიშნა დორმა. ვინც ასე არ მოიქცევა, მას ძვირათ დაუჯდება მცირედი გაუფრთხილებლობა და რომელიმე ორგანო იმისი სხეულისა უყურადღებობის მსხვერპლი გახდება. ხშირათ ხდება ასეთი მარცხიც, მაგრამ ვინაა დამნაშავე! ესენი ნებაყოფლობით ებმიან ასეთ სახიფათო საქმეში. იმათ შიმშილი აწუხებთ და პური კი ჩემს მაღაზიებში ინახება; იმუშავებენ და მიიღებენ საზრდოს.

თავადმა ექვიანათ გაიქნია თავი და მოახსენა.

— მე სწორეთ ვერ წარმომიდგენია თუ რა არის შიმშილი და არა მწამს ისეთი ძალა ჰქონდეს მას, რომ ასე თავგანწირვით ამუშაოს მონები.

დორმა მოუხმო ზედამხედველს და უბრძანა გამოეცხადებია მონათათვის ორი დღით სამუშაოს შეწყვეტა. ზედამხედველის ნიშნზე მანქანების ტრიალი მოდუნდა, იკლო და ბოლოს მოძრაობა სრულიად შეწყდა. მონებმა თავი მოიყარეს და მოისმინეს ზედამხედველისაგან ბატონის სურვილი. ჯერ ლაპარაკიც არ გაეთავებია მას, რომ მონები სასოწარკვეთილებამ შეიპყრო და მუხლ-მოდრეკილნი შესთხოვდენ ზედამხედველს ბატონთან შვამდგომლობას, რომ არ შეეწყვიტათ მუშაობა. ბავშვები და დედა-კაცები თავ-ზარ დაცემულნი გაიძახოდენ: ვილა მოგვცემს პურსაო.

სტუმარ მასპინძელნი შორი ახლოს იდგენ და ყურს უგდებდენ.

— ხომ გაიგეთ, ბატონო, თუ რა ძალა ჰქონია შიმშილსა? ამაყათ ჰკითხა დორმა. შემდეგ მოიხმო ზედამხედველი და უბრძანა მუშაობა განეგრძოთ. მონების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდათ და ადიდებდენ გულკეთილი ბატონის სახელს.

ქარხანა კვლავ ამოძრავდა და მონებიც სამუშაოს დაუბრუნდენ ისეთი სურვილითა და თავგამოდებით, რომ ზედამხედველთა სასტიკი ზომებიც მეტი დარჩა.

დორი თავისი სტუმრით ახალს განყოფილებაში გადავიდა. აქ გამალებით მუშაობდენ ფერ-მიხდილი ბავშვები და ასეთივე დედა-კაცები. ისინი დამზადებულ ნაწილებს სხვა და სხვა საქონლებისას სწრაფად აწყობდენ თავ-თავის ალაგას კმაყოფილებით აღსავსე. დორმა აუხსნა თავადს: მიუხედავათ მცირე ხელფასისა ბავშვები და დედა-კაცები ყველაზე მუყაით მუშებათ ითვლებიანო.

უცებ გაისმა საზარელი წივილი „მიშველე,“ „მიშველეო“ რომელსაც დრო გამოშვებით უზარმაზარი მანქანის გრიალი ახშობდა. აკანკალებულ გაფითრებულმა მონებმა მსწრაფლ მიაქციეს ყურადღება იქითკენ საიდანაც საზარელი ხმა ისმოდა, მაგრამ წამსვე გაახსენდათ ზედამხედველის მწვავე მათრახები და მუშაობა განაგრძეს. ვინ იცის ვინ არის უბედური! ზოგის ძმა, ზოგის მამა და ზოგის ამხანაგ-მეგობარი მუშაობს იქით!!

თავადი მოუთმენლად ეძებდა გულ-შემზარავ კივილის მიზეზს.

— ნუ დარდობთ, ბატონო, დაამშვიდა დორმა. სჩანს მონა რომელიმე მოჰყვა მანქანას.

თავადს დორის გულქვაობაზე ბრაზი მოსდიოდა, მაგრამ შიშით მისთვის წინააღმდეგობა ვერ გაეწია. მან მაინც მოისურვა დაშავებული მონის ნახვა და მსახურმა მიიყვანა ერთ უზარ-მაზარ მანქანასთან, რომელიც გასაოცარი სისწრაფითა და გრიალით მოძრაობდა. როცა ცრემლ-მორეული თავადი გაჩერებული მანქანის სისხლით შეღებილ ბორბლებს ათვალიერებდა, გულ-ქვა დორი თავის

საყვარელ ძაღლს თავზე ხელს უსვამდა და ეალერსებოდა.

— სად არის დაშავებული? იკითხა თავადმა და ზედამხედველმაც გადაუშალა ქილობში გახვეული ნაფლეთები ადამიანის სხეულისა. აღელვებულმა თავადმა სთხოვა დორს, ამ საზარელ ალაგს გასცლოდენ. დორმა ანიშნა მანქანა აეშვათ და ისევ გაისმა უსულო, კაცის მჭამელის, საზარელი გრიალი სტუმარ-მასპინძელნი სასადილოთ გაემგზავრენ.

სასახლის ბაღში მათ მწყობრათ დარაზმულნი მსახურნი დახვდენ. გაატარეს ისინი ოქროს ვარაყიან თაღებ ქვეშ და საუცხოვოდ მორთულ სასადილოში შეიყვანეს. ოთახს ამშვენებდენ ოქროს სკამსავარძლები და ხავერდიანი საწოლები. თავადი ძლიერ განაცვიფრა ამ სანახაობამ და სთქვა:

— შიმშილი სწორედ კარგი ხელოსანი ყოფილაო. სასახლის დათვალიერების შემდეგ დორმა სტუმარი სადილათ მიიპატიჟა და როცა შეახო ხელი საჭმელს, გაისმა საამური მუსიკა. თავადი იმხომ გაიტაცა მომხიბლავმა ხმებმა, რომ ცდილობდა დანა-ჩანგლის ხმაურობით არ დაერღვია სმენის დამატკბობელი ჰარმონია. ყოველივე ამას ელ-ფერს აძლევდა წითელ ტანსაცმელში გამოწყობილ მოსამსახურე ბავშთა საამო სანახაობა. სადილის შემდეგ სცენაზე გამოვიდნენ საუცხოვოთ მორთულ-მოკაზმული ახალგაზრდა ქალები და მოხდენილი ცეკვათამაშით მიიზიდეს დორის მთელი ყურადღება.

— ალბათ ესეც შიმშილის ნაყოფია? იკითხა გაოცებულმა თავადმა და მალე სრულიად განშორდა დორის სასახლეს. ის გაემართა თავის მინდორ ტყეებისაკენ უცხო სანახაობით მოხიბლული.

ძვირფასი ღვინით შეზარხოშებული დორი მოსვენებას მიეცა. მან საშინელი სიზმარი ნახა. მან ნახა ვითომც მთელი ქვეყანა მის ქარხნებს ეჭირა, რომლებშიაც აურაცხელი მონები მუშაობდენ და დღითი-დღე ადიდებდენ მის აუარებელ ქონებას. მოელვარე ქურებთან დაღვრილი ოფლის წვეთები, თითქოს თვალ-მარგალიტათ იყინებოდენ და დორის სიმდიდრეს უმატებდენ. უძლეველი შიმშილი აიძულებს მონებს გულმოდგინეთ იმუშაონ და მით დორის ფუფუნება-განცხრომა უზრუნველ ჰყონ. დორმა უბრძანა ზედამხედველებს მუშებისთვის საჭმელი მოეკლოთ, რომ ამით მონათა მუყაითობა გაეორკეცებია. მაგრამ მოსტყუვდა! მართალია მანქანებმა ძველებურათ დაიწყეს მუშაობა, მაგრამ ერთი-ორათ იმატა უბედურ შემთხვევათა რიცხვმა; შრომის უნარი და მუყაითობა დღიაი დღე კლებულობდა. მონათა უმრავლესობა უკიდურეს გასაჭირს განიცდიდა. დასასრულ ვიღაც ბოროტმა სულმა ჩააგონა მონებს სრულიად აეღოთ მუშაობაზე ხელი: „სულ ერთია მაინც შიმშილით ვიხოცებით და ბარემ დავანებოთ თავი მოქმედებასაო." მონები დადგენ!! მუშაობის მძიმე პირობები ვერ აიტანეს ვერც ზედამხედველებმა და ხელზე მოსამსახურეებმა. ისინიც დადგენ.

დორის სიმდიდრე უკანასკნელ გროშამდე მივიდა. მისი ძვირფასი თვალ-მარგალიტები სადღაც გაჰქრენ, მისი სიმდიდრე უცებ დაილია. მართალია მას დარჩა თვალ-უწვდენი მინდორ-ველი და ურიცხვი ქარხანა-ფაბრიკები, მაგრამ აღარ ყავდა მონა-მოსამსახურენი, მსურველნი მასთან მუშაობისა, მანქანები დადგენ და მათში ჩარჩენილ ადამიანის ხორცისაგან ირგვლივ მომწამვლელ სიდამპლის სუნი გავრცელდა.

დორის ძლიერება-მრისხანებამ ყოველივე მნიშვნელობა დაჰკარგა. ახლა ისიც იძულებული იყო ემუშავა; მაგრამ უჰ, რა საშინელებაა მუშაობა! მას არ შეუძლია შრომა და გულ მოწამლული სიკვდილს ამჯობინებს ასეთ სამარცხვინო ყოფას. მაგრამ დახე შიმშილმა, მწვავე შიმშილმა მაგრათ ჩასჭიდა მას თავისი ბრჭყალები. ვიღა დაეძებდა იმ განებივრებულ ძვირფას სადილებს, დღეს მას პურის ქერქიც კი ენატრება; წყლის მომწოდებელი არავინა ყავს, რომ გამშრალი ხახა გაისველოს. აი უკანასკნელი გროშიც გამოეცალა ხელიდან და მრისხანე, შეუბრალებელი დორი თვით მონებზედაც უღარიბესი შეიქნა. ისინი მცირე რამ საზრდოს მაინც შოულობდენ.

მწარე შიმშილმა აიძულა დორი ეშრომნა და მართლაც საჩხრეკით ხელში, ოფლისაგან იწურებოდა გავარვარებულ ფეჩის წინ. მურითა და ზეთით გილესილს საძაგელი ოფლის სუნი ასდიოდა. საშინელს ტანჯვაში იყო დორი, მაგრამ ამ ვაიწვალებაში კიდევაც გამოეღვიძა. ,,ვაიმე მიშველეთო‘‘ ასეთი ღრიალით წამოვარდა ის თავის თფილ ლოგინიდან და თანდათან გონს მოსული სიზმარისაგან ერკვეოდა.

საზარელი სიზმარი მას თავიდან არ გამოსდიოდა და გაასკეცებული ენერგიით ცდილობდა თავის სიმდიდრეთა გაზრდა-გადიდებას და მონა მუშების შიშ ქვეშ ყოლას, რათა ბოროტ ხელს არ გაეღვიძებინა მათში უკმაყოფილება და სიზმარი ცხადათ არ შეეცვალა.

დღესაც ყველა მონა-მორჩილად ემსახურება დიდებულ დორის და ბევრია, ბატონი და მონა, მდიდარი და ღარიბი.

მაგრამ როდემდის?!

თამრო ნაცვლიშვილი.



## ს ი მ ღ ე რ ა.

(მღვდ. სიმ. ჭპ—ლისა)

„ერთობამ“ რომ ხუცებს გვავნო,
რა თქმა უნდა, არის ცხადი,
უსაკურთხოთ დავიტანჯე
თითქმის ორი წელიწადი...
მაგრამ როცა რეაქციამ
ხალხს დაარტყა მძლავრი თათი,
მაშინ-კი ვსთქვი: სჩანს ალგვიდგა
ძველი წესი და ადათი.
ქელეხებით, საკურთხებით
ღიპს გავივსებ—გავიბერავ,
და ზედაშეთ შემოწირულ
ღვინითაც ყელს ჩავიფერავ.
მაგრამ ვატყობ „ერთობის“ დრო
ხალხს ჭკუაში დაჯდომია,
და „ბიჭ-ბუჭის“ ნაამბობიც
ძვალ და რბილში გასჯდომია...
თქვენს მტერს რაც მე დამითენეს
წლეულს საკურთხობა დღესა,
გლეხებმა ყიჟინა დამცეს,
ცარიელი გამაგდესა.
„სად თქმულა, რომ მკვდარს შიმშილით
უჭირდეს, სულს ღაფავდსო,
ან კი მკვდარს იქ რა მიუვა,
მღვდელი რომ აქ ყლაპავდესო“!..
გულ-დამწვარი გამოვბრუნდი
არც ზედაშე, არც საკურთხი,
და ცარიელ ხურჯინს ცხენზე
სულ გაჰქონდა ფართხა ფურთხი.
ეზოში რომ შემოვედი,
დაყმენდილი შემხვდა მურა,
ცარიელი მოსვლისათვის
ვგონებ ისიც დამემდურა.

დონ-რობერტო.



## დაბა-სოფლები.

**სუფსის რაიონი**. რა „საგმირო“ საქმე გინდა სულო და გულო, რომ ამ ჩვენ კურთხეულ რაიონში არ ხდებოდეს. ყველაფრის ჩამოთვლას მთელი გაზეთი დასჭირდებოდა და მათ გამათრახებას ყველა მათრახები, ძმაო ეშმაკო და როგორც ვიცი ამდენს ჩვენთვის ვერ მიიცლი. ამიტომ ვეცდები საქმე შევგიმცირო. სად. სუფსაში კერეჯოლლის დუქნის წინ ყოველ დღე იკრიბებიან უმქადო აზნაურები, მორაინდო არამზადები, ღვინისტები, კარტისტები, ნარდისტები და სხვ. კრების თავსამტვრევ საგნებს ყოველთვის შემდეგი კითხვები შეადგენენ: 1) ვის როგორი ლამაზი ცოლი ყავს 2) ვინ ვის აჯობებს მუშტ-კრივში 3) ვისას უკეთესი ღვინოა, 4) კარტის ჩაწყობა პრინციპიალურად სამართლიანია თუ არა და სხ. კრების მუდმივი პრეზიდიუმი დიმიტრი, ოსმან და ერმილეა, მდივნათ ხარლამპრე და მათე ყავთ. წევრებიც „კეთილშობილი“ სისხლის არიან. საჭიროა თავმჯდომარეებსა და მდივანთათვის სამ-სამი კუდი მათრახისა და წამსვე თავს დაანებებენ ამ ხელობას.

სად. სუფსაშივე, მამა ბართლომემ შემდეგი საანტისაბახუსინო საქმე მოიმოქმედა: სასულიერო მთავრობამ მისცა ნება მასთან დიაკვნათ ვინც უნდოდა ის დაეყენებია. ბართლომემაც გაუშო „აბელანიები“ და შემოესიენ ხუცურის მცოდნე პირები: არა მე მომეცი და არა მეო, ხუმრობა კი არ იყო მასთან დიაკვნობის შოვნა 200 მ. წლიური ჯამაგირია, გამოსარჩენი და საკურთხი კიდევ სხვა. ბოლოს ამბობენ მელიტონმა ჩაუმასქანქარა რალაცაო და იგდო ხელში დიაკნობის პორტფელი. გავიდა ერთი წელი და დაუწყო ბართლომემ ჭილინი დიაკონს შენ ვერ ასრულებ სამსახურს, შორს დგეხარ და ლოცვებს აკლდებიო. ეიყარა საწყალი წვრილი ცოლ-შვილის პატრონი კაცი და დასახლდა ეკლესიის ახლო. ბართლომეს მიზეზს მაინც საშველი არ მიეცა და მიუხედავად იმისა რომ დიაკონი ლოცვებს ესწრებოდა მაინც დაითხოვა სამსახურიდან. ახლა შენგან საჩუქარს მოელის ასეთი ქრისტიანული მოქმედებისათვის და სამიოდ მათრახს ნურც ამისთვის დაიშურებ.

სოფელ მიქელგაბრიელში „კუციის“ საშვალეებით ი. ჯაყელი 16,000 მ. ახდევინებს საზოგადოებას, აქაო და რატომ ჩემი ტყე არ გადაჩეხეთ რევოლიუციის დროს რომ 40,000 ქანქარი ამელოვო. ვგონებ არც ამისთანა გვამს აწყენს თქვენი მათრახის კუდი?

სოფ. ჩოჩხათში ვაჭრებს გოდორი გამოუზომეს, რომლითაც ისინი ტარო სიმინდს ყიდულობდენ. დაავალეს რომ ორი ფუთის გამოსავალი სიმინდი ეყიდათ მანეთათ, და არა ოთხი და ხუთის, როგორც წინათ შვებოდენ. ზოგი ერთბაშათ დაეთანხმენ ამას, ისილომ, ოსმან, რაჟდენმა, დათამ, ესოფიმ და სხვ. პირველად თანხმობა განაცხადეს მაგრამ შემდეგ სიხარბით ძლეულებმა ოთხი ფუთის გამოსავალი სამ აბაზათ ჩაიგდეს ხელში გაჭივრებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისაგან. თითო მათაც მისცხე ეშმაკო შენი კურთხეული მათრახი.

ჩვენში, ძმაო ეშმაკო, მუშაობის დროს ერთიმეორის მიხმარება იციან. ხანდისხან ერთი კაცის ყანაში ათი-თუთხმეტი კაცი ერთათ მუშაობდა ხოლმე. დაუნახავს ერთ ხაჯალიელ აზნაურ ესოფის ასეთი სურათი და გახარებია და მოუკურცხლავს ბოქაულთან: ამა და ამ ალაგას მიტინგია ს.-დ. და არიქა უშველეო. ფიცხლავ გაჩდენ სტრაჟნიკები და დააპატიმრეს რამოდენიმე პირები, რომელიც მეორე დღესვე გამოუშვეს. რომ ესოფის შემდეგში ასეთი არ დეემართოს ჩემის აზრით კარგი იქნება მისთვის ერთი მათრახის კუდის წაწყვიდინება.

დანარჩენებზე შემდეგ.

შენი კასიო.

—

**ლანჩხუთი.** დაროჟნი მასტერი ადამ ფილიპიჩი დიდი ხანია მოელის, ძმაო ეშმაკო, შენს პატივისცემას. ან კი მეტი რაღა ქნას საბრალომ, ხელი არაფრისთვის არ დაუკლია, რიცაც კი შეიძლებოდა შენ მიერ წყალობის დამსახურება: მუშებს ადამის დროინდელი პირობები წამოუყენა და ბოლოს სრულიად გზასაც გაუყენა. მისი ხელქვეითი ვასილ ქეფხოძე არც იმდენი ყურადღების ღირსია, როგორაც თავი მოაქვს და პირველთან ერთად შეიძლება ისიც გამოითანიო მათრახის კუდში.

კრონოსი.

—

**ჭიათურა.** ძმაო ეშმაკო, როგორც მკითხველებმა იციან აქ, ჭიათურაში, არსებობს ვაგონების და ბაქნების (პლატფორმების) გამნაწილებელი კომიტეტი.—როგორც ეს ვეებერთელა სახელწოდება გვიჩვენებს ის რამეს უნდა წარმოადგენდეს.—ამ უკანასკნელ სხდომებზე ბევრი იომეს კომიტეტის წევრებმა, ბევრი ილაყბეს, მაგრამ არ იქნა, მსხვილებს ერთი ციცქნა პლატფორმაც ვერ ჩამოართვეს, ასე რომ გთხოვ ჩემო ეშმაკო ამ ვაჟბატონებს შემდეგი ლექსი უძღვნა:

რას იჩემებთ ნესტორ, კოლო
რას ბაქიობ იონაო,
ვერას გახდით, თუმც თქვენგანმა
ყველამ ბევრი იომაო,
არ იქნა, და ვერ წაართვით
მსხვილებს ერთი ბაქანიო,
ხელში შეგრჩათ უსარგებლო
თავის მტვრევა, ქაქანიო.

ჭიათურელი ეშმაკი.

—

**სუფსა.** „ნაციხის უფროსალი“ ივანე ჯაყელი ბოქაულის სახით მოგვევლინა და დღეს ჩვენში ეწევა „სასიქადულო მოღვაწეობას“. იმის მათრახს აბა თქვენი მათრახი სად შეედრება?. ყოველ შემთხვევაში აქაურ ვაჭრებს თქვენი მათრახიც მოუხდება. მარტო ივანეს მათრახი არ კმარა. ყველა ისე განვითარდა ამ ბოლო დროს ჩვენში, რომ ჟურნალ-გაზეთებს ახლო არ იკარებენ.

ოლოლე.

—

**ბელაგორი** („მათრახის“ რედაქციას)

„თუ გინდათ გამოგვიგზავნეთ
სამათრახონი ყველაო,
ამ ბოლოს სპეციალურათ
ვისწავლეთ ზურგის ზელაო.
მათრახებისა ტრიალში
ვერავინ გვჯობნის ჩვენაო,
იმდენი ვურტყით დიაკვანს,
რომ წამოაგდო ენაო“.

ბელაგორელი ხუცები.

აი ასეთ წერილს გიგზავნიან ბელაგორელი ხუცები. მართლაც რომ ამ ბოლო დროს ხუცებმა ძალიან დაატრიალეს მათრახი. აქაო და „მათრახის“ რედაქცია ჩვენ გვამათრახებს და ჩვენ, რომ ჩვენი დიაკვნები გავამათრახოთ ვის რა ხელი აქვსო. ასეთია აქაური ხუცების ლოღიკა. უმეტესათ მამა რომანოზის. პირველი დებიუტი მან გამართა თავის დიაკვნის ზურგზე. იმდენი ურტყა მათრახი, რომ ძალლივით წამოაგდებია ენა. გალახულმა დიაკვანმა ერმალოზ ბლაღოჩინს მიმართა და სთხოვა ოქმის შედგენა, მარა ერმალოზმა თავისი მათრახი უჩვენა და დიაკონმაც ხმა გაკმინდა. ეხლა ისე წათამამდენ ყველანი, რომ იძახიან „მათრახის“ რედაქციამ ჩვენ გამოგვიგზავნოს თუ ვინმე სამათრახო ყავს და ისე ვახტუნებთ, როგორც ცერცვიო. მე მგონია ძალიან საჭიროა ერთი მაგათ ანაფორას რომ გააფენიებდეთ და თქვენ კურთხეულ მათრახს აგემებდეთ.

მღვდლებზე არა ნაკლებ უნდათ თქვენი მათრახის გასინჯვა აქაურ ვაჭრებს. უმეტესათ კაციტაძეს, მანჯავიძეს და კამკამიძეს. იქნება აქეთ-იქით ძრომას თავი დაანებონ.

მასწავლებელ მიხოს კი ყველაზე მეტათ არგებს, იცოდეთ, თქვენი მათრახი. რაღაც ჩვეულებათ გადაექცა ამ ბოლო დროს ბილიარდის წინ გაჩერება, გაზეთებში თავისი თავის ქება და სხვისი ლანძღვა და ხუცების „აბლაკატობა“. თვითონაც უნდა მოიშალოს ყველა ეს ცუდი ჩვეულებები, მარა ამბობს „მათრახის“ მეტი ვერაფერი გამასწორებსო. რაკი ასე მოწადინებულია ხუცებთან ერთათ ნურც იმას დაივიწყებთ.

შავი ღელის პირელი.

—

**დ. სამტრედია.** ჩვენი დაბის „მამები“ ცდილობენ ამ საზამთროთ მაინც მოახერხონ და ჩვენ დაბას „პოსადობის დიპლომი“ მიაღებინონ, „ღლასნობის“ სურვილმა ისე გაიტაცა ყველა, რომ ერთ ამბავში არიან, გაჰყავთ ერთი ქუჩიდან მეორეში არხები, რომელშიაც ცხენის-წყლის შტო ჩანჩქარით გაივლის და ჩვენს „ღლასნებს“ პოეტურ ფანტაზიას აუთამაშებს. როცა ხედავ ამ სანახაობას არ შეგიძლია პატიოსან ადამიანს სიხარულით არ აგევსოს გული! ეხლა „განათლებას“ არ იკითხავთ? პროგიმნაზია თუ ვერ დააარსეს დაბელებმა, სამი იმისთანა „გაზოვოე ოსვეშჩენიე“ დასდგეს, რომ სამტრედიას კი არა მგონი ასეთ „განათებას“ შემდეგ ხონშიაც არაფერი დასჭირდეთ.

ყველაფრით კმაყოფილი ვართ, მხოლოთ ერთად-ერთი სამწუხარო ის გვაქვს, რომ „მოღვაწე“

მელიტოს და მოსეს „სკანდალი" მოუვიდათ. ბრძოლის ველიდან ორივე გამარჯვებული გამოვიდა, მხოლოთ დამარცხებული მესამე, სულ უბრალო პირი, აღმოჩნდა, რომელიც „წესიერების დარღვევისათვის" რწყილების საწყესავათ შეგზავნეს ადგილობრივ ,,ზამოკში''.

**იქიდანვე**. ამ დღეებში აქ ერთი საისტორიო საქმე მოხდა. ფოსტის მოხელეებმა ა. ბარამიძემ, ა. ჩხენკელმა და ნიკურაძემ, იმ ცრუ ხმების გამო, თითქოს ფოსტაზე თავდასხმას ეპირებოდენ, დამალვა განიზრახეს, მაგრამ ბოროტ-გამზრახველებმა მიაგნეს და მოიტაცეს. დიდი მეცადინეობის შემდეგ სამივე აღმოაჩინეს არღნის ყუთში ჩამწყვდეულნი ,,ნოვი სვეტში'' მაჭარაძის დუქანში. ჯერ-ჯერობით მოტაცებულნი კარგათ გრძნობენ თავს.

შენი კრუშევანი.

—

**სად. ევლახი**.

იავნანა ვარდო ნანა, იავ ნანინაო;
დრეზინაზე ,,კატაობა'' არ მოგეწყინაო?
რაღათ გვინდა ჩვენ სიცოცხლე, იმხიარულეო!
თუ გეწყინოს დაგვიყვირე, შენი ჭირიმეო!!

იავნანა ვარდო ნანა იავნანინაო
დრეზინაზე რო დაჯდები, გაგეხარდებაო?
ნუნუა და ბასტურმები მოგელანდებაო?
დუქანშია მინამ შეხვალ შენი მოგივაო,
სანამ ყელსა გაისველებ, სული წაგივაო.

იავნანა და სხვა.

გამძღარი დანალევი გაიმართებიო,
სხვასა ჰკითხე რასა სჭამენ იგი საწყლებიო,
სიმშილითა კუჭი ეწვით, ეწვით ფაშვებიო,
დრეზინაზე რო სწვალობენ, შენი მუშებიო.

მემანქანე.

—

**ჩოხატაური**. ,,საპოჟნიკმა'' სიომ ახალი ხერხი გამოიგონა ურჩი შეგირდების თავიდან მოსაშორებლათ. ამას წინათ სამი შეგირდი წასჩხუბა ერთმანეთს. იშონა მიზეზი და სამივე დაითხოვა. შემდეგ ამ სამში ერთი მიიღო, რომელიც მას უნდოდა. ორი კი ქუჩაში დასტოვა. კაი ხერხია და კაი მათრახიც მოუხდება სიოს ასეთ მოღვაწეობისთვის.

ქვიშნარელი.

—

**ჯიხაიში** (ახალი ამბები).

— სამკითხველოს გამგეც ახალი ჰყავს და ბიბლიოთეკარიც, მაგრამ ჟურნალ-გაზეთები მაინც ძველია და ისიც ,,რასპროდაჟაში'' იყიდება.

— ქსენონს ექიმიც ახალი ჰყავს და ფარმაცევტიც, მაგრამ წამლების სიძვირე მაინც ძველია.

— ბანკს თავმჯდომარეც ახალი ჰყავს და თანაშემწეც, მაგრამ ქანქრის ,,კრახი'' მაინც ძველია.

— ბაზარს ,,დესედნიკიც'' ახალი ჰყავს და უსტაბაშიც, მაგრამ სამიკიტნოებში ტკბილი მაჭრით ქეიფი ისევ ძველია, მხოლოდ კარტ-ნარდ-ბილიარდის ნაცვლათ დომინოს თამაში კი ახალია.

სად არის მათრახის კუდი!

ფოჩთალიონი.

# პატარა საუბარი.

(ლეჩხუმელი და იმერელი)

**იმერ**. გამარჯობა შენი კიმოთია.

**ლეჩხუმ**. ქვე, ღმერთმან გაგიმარჯოს ბესარიონს.

**იმერ**. რა ამბავია კიმოთე თქვენში?

**ლეჩხუმ**. ქვე, რა ამბავი იქნება, შენი ჭირიმე; მოსავალი წელს გვარიანია, ქვე თუდა შეგვრჩა.

**იმერ**. როგორ თუ შეგრჩათ?

**ლეჩხუმ**. ქვე, როგორ და ზოგს ბატონი წაიღებს, ზოგს ღვდელი, ზოგს გადასახადში გაგვიყიდიან და ჩვენ ქვე დავრჩებით მშიერი, ცარიელ-ტარიელი.

**იმერ**. ასეთი ჭირი მარტო შენ ხომ არ გადგია, მოვა დრო და ჩვენც რამე გვეშველება.

**ლეჩხუმ**. ქვე, ღმერთმან იმედი ნუ წაგიშალოს, მაგრამ ქვე ჯერ პირი აფერს უჩანს და...

**იმერ**. გულს ნუ გაიტეხ ძამია, ერთის დაკვრით ხე ვის წაუქცევია? მოვა დრო და ჩვენს მხარეზედაც დადგება დღესასწაული.

**ლეჩხუმ**. ქვე რა ვქნა, შენი ჭირიმე, მოდი და ნუ დავღონდები, ორი დევივით ვაჟკაცი წელს სალდათათ არიან გაწვეული ჩემი ოჯახიდგან. ქვე თუ ისინი მომაცილეს დავიღუპები და იგია.

**იმერ**. ეგ არაფერია; შეიტანე „წითელი ჯვრის" სასარგებლოთ ათასი მანათი და ორივე თავისუფალი იქნება.

**ლეჩხუმ**. ქვე, რაო? რის სასარგებლოთ?

**იმერ**. რის და „წითელი ჯვრის" სასარგებლოთ.

**ლეჩხუმ**. ქვე რაა „წითელი ჯვარი", შენი ჭირიმე.

**იმერ**. იმეე!.. როგორ, თქვენში „წითელი ჯვარი" არ არსებობს? ჩვენში, რამდენი ხანია, დააარსა დავითმა „წითელი ჯვარი" და ვინც უხვ შესაწირავს არ დაიშურებს, უთუოდ თავისუფალი იქნება.

**ლეჩხუმ**. ქვე, ჩვენში ასეთი არაფერია, თორემ გავყიდი ყველაფერს და რამეს გავხდები.

**იმერ**. თქვენში იქნება სხვაფერ იციან... ზუგდიდში „ჯვარი" არ არსებობდა, მაგრამ ვერცხლს დიდი გასავალი ქონდა.

**ლეჩხუმ**. ქვე, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი იასონი ვერცხლს არ ღებულობს.

**იმერ**. ვერ დაგიჯერებ, კიმოთე, რომ რაცხა მაინც არ იყოს, ვერა და ვერა.

**ლეჩხუმ**. ქვე, რა ვიცი; დამარწმუნეს, რომ ვერცხლი ჭირივით სძულსო და სხვა შესაწირავი რა... ქვე თუ ვეღარ გადურჩები—სულ ერთი არაა?

**იმერ**. რაი ვერ გადურჩები?

**ლეჩხუმ**. ქვე რას და ორ-სამ წელიწადს უჯამაგიროთ უნდა ემსახურო და მასთან მსუქანი ძღვენები ხშირ-ხშირათ მიართვა და ქვე ამას ვინ გადურჩება?..

**იმერ**. ჰოო, აკი გითხარი!.. მსუქანი ძღვენი უყვარს—ა?

**ლეჩხუმ**. ქვე რატომ არა, შენი ჭირიმე. მწიროზის თვეში რომ მის ეზოში გადაიხედო,—სავსეა ქათმებით, ინდაურ-ბატებით და ცხვარ-გოჭებით. თურმე, ნათლი-დედებში და კერძო-კაცებშიდაც ბევრს ინახვენ ასეთ ნაძღვნევ საქონელს. ქვე ავი ენები კიდევ მეტს ამბობენ, მაგრამ დიდიკაცის საქმეს ქვე რას გაუგებ თავსა და ბოლოს...

**იმერ.** ჩვენი დავითი სჯობია
გოჭ-ქათამ-ცხვარის მზოჭველსა!..
სჯობს ქანქარისა მოხვევა
ყოველსა მოსახვეჭელსა...

ჯავშნოსანი.



## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! „მათრახის" მეოთხე ნომერში მოთავსებული იყო წერილი მიხელა ოფონეშვილისა, რომელიც მე, გერმანე გძელიძეს მწამებს ცილს, ვითომ მე უსინდისოთ ვექცეოდე ხალხს და წონაში ვატყუებდე, მასთან მძინარე მუშის გალახვას. ამით უნდა ოფონეშვილს ჩემი სახელი დაამციროს, რადგანაც მას ჩემთან პირადი ინტერესები აქვს. ამიტომ ვითხოვ პასუხს ოფონეშვილისაგან, დამიმტკიცოს მან ჩემდამი ხალხთან უსინდისოთ მოპყრობა და მათი მოტყუება და თუ არ დაუმტკიცებია იმ შემთხვევაში, ვუწოდებ მას, რისიც ღირსი იქნება.

გერმანე გძელიძე.

—

ბ. რედაქტორო! თქვენ პატივცემულ ჟურნალ „მათრახის" მე-4 ნომერში მოთავსებულია წერილი ჩოხატაურიდან, სადაც ბ-ნი შურდული სწერს, ვითომ მე საზოგადოების დადგენილება ფეხქვეშ გამეთელოს და ივანე ქართველის დუქანში განვაგრძობდე კარტის თამაშს. ვაუწყებ, რომ მე ეს ექვსი თვე არის ივანე ქართველის დუქანში კარტის სათამაშოთ არ შევსულვარ. „შურდული" სრულიად უსაფუძვლოდ შეურაცხყოფას მაყენებს. ამიტომ ვიწვევ სამედიატორო სამართალში. მედიატორებათ ვასახელებ მასწავლებლებს: სარდიონ მგალობლიშვილს და მელიტონ რამიშვილს. ვადას ვუნიშნავ ერთ კვირას დღიდან გამოცხადებისა.

დათიკო ერისთავი.

—

ბ. რედაქტორო! ჟურნალ „მათრახის" მე-4 ნომერში მოთავსებულია ლექსი: ქუთაისის „დეპო". ამ ლექსში აღნიშნულია „მოღვაწე" პირები და მათ შორის „პორფილეც", რადგანაც აქ დეპოში პორფილე არავინ არის და მე კი ისეთი არა მიმაძლევის, რომ ასეთი გასათვალისწინებელი ვიყვე, რომელიც მე სიკვდილათ მიმაჩნია, ვსთხოვ ბ. ეკალს გამომყვეს სამედიატორო სამართალში იმ პირობით, რომ თუ კი მე რამე ხალხის საწინააღმდეგო თუნდაც ერთი სიტყვა აღმომიჩნდება, სასჯელი მან დამადვას, და თუ პირ-იქით დახმარებისა და პატივის-ცემის მეტი არა მიმიძღოდეს იმ შემთხვევაში ბოდიში მოიხადოს თქვენი გაზეთის საშვალებით. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ ივლიანე ხეთერელს (ნივთებით მოვაჭრეს) და იოსებ ხელაძეს (მესტამბეს) ვადას ვაძლევ დღიდან გამოცხადებისა, ათ დღეს.

ქუთაისის დეპოს მუშა პორფილე თადუმაძე.

—

ბ. რედაქტორო! „მათრახის" მე-3 ნომერში მოთავსებულია წერილი სამტრედიიდან, რომელშიაც ვიღაც „სათანა" ბრალს მდებს და საქვეყნოთ ცილს მწამებს; რისთვისაც ვიწვევ მას სამედიატორო სამართალში. ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ ა. ვაშაკიძეს და ა. სტურუას. ვადას ვაძლევ ათ დღეს დღიდან ამ წერილის დასტამბვისა. დეე, მედიატორეთა პირუთვნელ-სასამართლომ დაამტკიცოს ვინაა მტყუანი და ვინ მართალი ჩვენ შორის. მედიატორეთა განაჩენი „მათრახში" უნდა იქნას გამოცხადებული.

ბ. ხუჭუა.

---

## მათრახის „ფოსტა".

**სად. ბელაგორი.** Pilat-ს.—თქვენი ლექსი „პედაგოგთა კრება" ჩვენი ჟურნალისთვის გასამეტებელი არ არის. უმჯობესია „საქართველო"-ს გადასცეთ.

**ს. ილორი.**—„ღამურას".—მწერალ ერმილე მაკალათიას და ერთი ქალის ამბავი, საჟურნალო ამბავი არაა. გირჩევთ ცალკე წიგნაკათ გამოსცეთ.

**აცანა.**—„წუმწუმას".—თქვენი ლექსი „ამყრალებული აზნაურის" და „გალეშილი პრიჩედნიკის" შესახებ არ დაიბეჭდება.

**ჩოხატაური.**—„ბულბულს".—გეტყობათ, თავდავიწყებამდე შეგყვარებიათ გურია, მარა თქვენი ლექსი ნახევარ ჟურნალს დაიჭერს იმოდენაა და ამიტომ ვერ ვბეჭდავთ.

**სუფსა.** ვახუშტის. თქვენი ლექსი „სახსოვრად" არ დაიბეჭდება.

**ბაქო.** ბ. რ. მ. შ. ი. ი. არ დაიბეჭდება არც თქვენი ლექსი „შემოდგომა და გლეხი". არც ორიგინალი ინახება.

**სოხუმი.** ვასიკო ციმბირელს. თქვენი ლექსები „ბიძის ჩივილი" და „ვუძღვნი ევპრაქსო კალანდარიშვილს მენაბდის ასულს" არ დაიბეჭდება.

**ბათუმი.** ჰოს. თქვენი «მესტვირული» არ დაიბეჭდება რადგან აღნიშნულ სტამბებზე უკვე გვქონდა წერილი, რის გამო დანიშნული მედიატორეთა სამართალი ჯერაც არ გათავებულა და საქმე არ გამორკვეულა.

**ლანჩხუთი.** შამშე ებრალიძეს. თქვენი არაკი «ობობას ქსელი» არ დაიბეჭდება.

**მიხაილოვი.** დონ რობერტოს. თქვენ ლექსს „ქუთათურ ზუბრებს" დიდი სიამოვნებით დავბეჭდავდით, რომ ეს მოსახსენებელი ყოფილიყო. აი თუნდ უკანასკნელი კუპლეტი:

„მაშ, თქვენ რა გრჯით? მაგრამ გვესმის
თქვენი სიტყვის ურცხვი კილო...
მეოცე საუკუნეში!...
ვაჰ, სირცხვილო! ვაჰ, სირცხვილო".

თუმცა უნდა მოგახსენო, რომ „ზუბრებთან" სირცხვილზე ლაპარაკი, მეტი რომ არ ვსთქვა, უბრალო დროს დაკარგვაა.

**ჩოხატაური.** ბულბულს. თქვენი ლექსი „მოგონება" არ დაიბეჭდება.

საქართველოს რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ.




## აგენტების საყურადღებოთ.

გაზეთ **„იმედის“** და ჟურნალ **„მათრახის“** აგენტებმა ზალოგი და გაყიდული ნომრების ფული უსათუოთ შემდეგ ადრესზე უნდა გამოგზავნონ:

Теофилу Ерастовичу Болквадзе, Ред. «Матрахи». ვინც ამ ადრეზსე არ გამოგზავნის, იმის პასუხის-მგებლობას ბ-ნი ბოლქვაძე არ კისრულობს.

საჭიროა გარკვევით აღინიშნოს კუპონზე, რამდენი „მათრახის“ და რამდენი „იმედის“.

## „ჭირისუფლები“.

ოსმალეთის ბედ-იღბალი
ვისთვის არის დასაშური?
ჭირისუფალ მეზობლებმა
გაუწიეს სამსახური.

ზოგმა ჯუბა შემოაჭრა
ზოგმა შარვალ ახალუხი,
ირგვლივ ისმის მაკრატლების
ჭრიალი და ჭახა-ჭუხი.

გაჩქარებით ჭკვეცენ, სჭრიან,
ის კი ჭკვნესის ბედით კრული,
და აოცებს მეზობლების
დახმარება მეგობრული.

**„მათრახი“ № 6 იგზავნება პროვინციაში შემდეგ აგენტებთან:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1) | **ქუთაისში**—ი. კვიცარიძესთან— — — — | 220 | ცალი. |
| 2) | **სამტრედიაში**—ჟ. კოპალეიშვილთან— — | 250 | „ |
| 3) | **ბათუმში**—ს. ფირცხალაიშვილთან — — | 150 | „ |
| | „ სოხუმისათვის — — — — | 40 | „ |
| 4) | **ოზურგეთში**—ვ. ღლონტთან — — — | 100 | „ |
| 5) | **ფოთში**—ი, კორხეიძესთან — — — — | 70 | „ |
| 6) | **შორაპანში**—კ. პერტახიასთან — — — | 60 | „ |
| 7) | **ჭიათურაში** „ — — — | 60 | „ |
| 8) | **ჩოხატაურში**—ნ. მეგრელიშვილთან— — | 70 | „ |
| 9) | **ლანჩხუთში**—ლ. წულაძესთან — — — | 20 | „ |
| 10) | **მიხაილოვში**—ა. ებანოიძესთან — — — | 30 | „ |
| 11) | **გორში**— ბ-ნ არჩვაძესთან — — — — | 20 | „ |
| 12) | **რიონში**—ი. კვიცარიძესთან— — — — | 30 | „ |
| 13) | **სუფსაში**— ბ. ჭანტურიასთან — — — | 10 | „ |
| 14) | **თელავში**—ბ-ნ ონიკაშვილთან — — — | 10 | „ |
| | | 1140 | ცალი. |

რედაქტორ-გამომც. თ. ე. ბოლქვაძე.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ ტფილისი.